

## საქართველოს კანონი

### „სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სურსათის უვნებლობის და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №4, 18.01.2006, მუხ.30) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) საგამოცდო ლაბორატორია – დადგენილი წესის შესაბამისად აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული ლაბორატორია, რომელიც შეტანილია აკრედიტაციის სისტემის სახელმწიფო რეესტრში.“

2. მე-20 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სურსათის სახელმწიფო კონტროლის მიზნით აღებული ნიმუშის ანალიზი ტარდება სპეციალურად შერჩეულ საგამოცდო ლაბორატორიებში.

2. სახელმწიფო კონტროლის მიზნით აღებული ნიმუში უნდა იქნეს აღებული და გადაცემული საგამოცდო ლაბორატორიისათვის სამსახურის უფლებამოსილი მოხელის მიერ.“

3. მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

4. 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დადგენილი წესით ნიმუშის აღებასა და საგამოცდო ლაბორატორიაში გამოცდის ჩატარებას.“

5. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) დადგენილი წესით ნიმუშის აღებასა და საგამოცდო ლაბორატორიაში გამოცდის ჩატარებას.“

6. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის მიერ რეფერენტული გამოცდა ტარდება იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე (სამსახური ან მწარმოებელი/დისტრიბუტორი) არ ეთანხმება გამოცდის შედეგებს.“

7. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) სხვა საგამოცდო ლაბორატორიას (მწარმოებლის/დისტრიბუტორის წარმომადგენელს აქვს უფლება დაესწროს გამოცდას).“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი